

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №46

21.06.2019 წ.

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

15:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე, თარაშ შურღია, გიორგი დოხტურიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. თინათინ ყოლბაია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
2. მარიამ თავაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 29 მაისის №12-0319149104-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 12 ივნისის №12-031916324-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 12 ივნისის №11-031916327-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 29 მაისის №12-0319149104-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა თ. ყოლბაიამ.

მომხსენებლის (თ. ყოლბაიას) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 22 მაისის №19.568.749 განკარგულებით და დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 2 წინადადება - №01182551869-67; №01191332491-67).

კომისიის სხდომის დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული 2 საკითხი (წინადადება) პუნქტობრივად იქნა განხილული.

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „1“ პუნქტი) - ქალაქ თბილისში, გაგარინის II შესახვევი №6-სა (საკადასტრო კოდი: №01.10.021.004) და ქალაქ თბილისში, იმედაშვილის ქუჩა №3, №5, №7, №10-ში (საკადასტრო კოდი: №№01.10.12.021.005, 01.10.12.021.011, 01.10.12.021.001, 01.10.12.021.002) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ფართობი: 2024 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების შესახებ (№01182551869-67).

მომხსენებლის (თ. ყოლბაია) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №01182551869-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, გაგარინის II შესახვევი №6-სა (საკადასტრო კოდი: №01.10.021.004) და ქალაქ თბილისში, იმედაშვილის ქუჩა №3, №5, №7, №10-ში (საკადასტრო კოდი: №№01.10.12.021.005, 01.10.12.021.011, 01.10.12.021.001, 01.10.12.021.002) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ფართობი: 2024 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. საპროექტო არეალში მდებარე საცხოვრებელი სახლები ამორტიზებულია და არსებობს ფუნქციური ზონის ცვლილების განსაკუთრებული სოციალური ინტერესი. ვინაიდან, მოქმედი ფუნქციური ზონების ფარგლებში შეუძლებელია მოზინადრეთა ინტერესების დაკმაყოფილება და ინვესტორის მოზიდვა, ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), მაცხოვრებელთათვის საჭირო საბინაო ფონდის შესაქმნელად, აუცილებელია საკადასტრო მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი ზონა 6-ისა (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) შესაბამისი პარამეტრის მინიჭების მიზნით.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „2“ პუნქტი) - ქალაქ თბილისში, აბანოს ქუჩის ბოლოს (ქრელი აბანოს უკან) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.18.04.019.032, 01.18.04.019.043; საერთო ფართობი: 288 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილების შესახებ (№01191332491-67).

მომხსენებლის (თ. ყოლბაია) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №01191332491-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, აბანოს ქუჩის ბოლოს (ქრელი აბანოს უკან) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი:

№01.18.04.019.032, 01.18.04.019.043; საერთო ფართობი: 288 კვ.მ.) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთები წარმოადგენს კერძო საკუთრებას და 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, მასზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), შესაბამისად, შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და განთავსებულია შენობა-ნაგებობა. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 16 მასის №01191364547 წერილი ადასტურებს, რომ ტერიტორიაზე არ ფიქსირდება მწვანე ნარგავები და ზონის ცვლილება შესაძლებელია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 29 მაისის №12-0319149104-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01182551869-67; №01191332491-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

დადებითად შეფასდეს მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 29 მაისის №12-0319149104-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01182551869-67; №01191332491-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 12 ივნისის №12-031916324-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა თ. ყოლბაიამ.

მომხსენებლის (თ. ყოლბაია) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 5 ივნისის №19.639.840 განკარგულებით და დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 6 წინადადება - №01191361184-67; №17-01191481916-67; №01191121316-67; №01191302223-67; №01191353672-67; №01181062372-67).

კომისიის სხდომის დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული 6 საკითხი (წინადადება) პუნქტობრივად იქნა განხილული.

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „1“ პუნქტი) - ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.07.534, ცვლილების ფართობი: 33 840 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების შესახებ (№01191361184-67).

მომხსენებლის (თ. ყოლბაია) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №01191361184-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.07.534, ცვლილების ფართობი: 33 840 კვ.მ.) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე „ქ. თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.07.534) აეროსადგურის (შვეულმფრენების ცენტრის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის №115 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას, ამავე განაშენიანების რეგულირების

გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №81.08.07.534 ცვლილების ფართობი: 33 840 კვ.მ.) ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „2“ პუნქტი) - ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, თბილისი - კოჯრის I შესახვევში, №11-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.02.06.628) ნაწილზე (ფართობი: 115 კვ.მ.) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილების შესახებ. (№17-01191481916-67).

მომხსენებლის (თ. ყოლბაია) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №17-01191481916-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, თბილისი - კოჯრის I შესახვევში, №11-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.02.06.628) ნაწილზე (ფართობი: 115 კვ.მ.) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება ლეგალიზების მიზნით. 2005 წლის ორთოფოტოს საფუძველზე, საპროექტო ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობის არსებობა დასტურდება. გარდა ამისა, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის მიხედვით, ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის №18-01191493594 წერილით, შესაძლებელია ფუნქციური ზონის ცვლილება ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით და შესაბამისად, საზღვრების დაკორექტირებით.

შეკითხვები დასვეს: ბ-ნმა თ. შურღაიამ, ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა და ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის, ლეგალიზების მიზნით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანშეწონილობის თაობაზე და ასევე, მსგავსი შემთხვევებისას, სხვა დაინტერესებული პირებისთვის (განმცხადებლებისთვის) ფუნქციური ზონის ცვლილებაზე უარის თქმის გამომწვევი მიზეზების შესახებ.

ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ისტორიული ლანდშაფტის ზონაში და შესაბამისად, მიწის ნაკვეთი ლეგალიზებას არ ექვემდებარება.

დასმულ შეკითხვებს უპასუხა მომხსენებელმა, ქალბატონმა თინათინ ყოლბაიამ, რომლის განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისას, სავალდებულოა ადმინისტრაციულ საქმისწარმოებაში ქალაქ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მონაწილეობა და ოფიციალური პოზიციის დაფიქსირება. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო

სამსახურის უფლებამოსილი პირები ადგილზე დათვალიერებისა და როგორც ფაქტობრივი, ასევე, იურიდიული (სამართლებრივი) მდგომარეობის შესწავლის შემდეგ, წერილობით პოზიციას (რეკომენდაციას) აფიქსირებენ, რაც ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია №18-01191493594 წერილის სახით.

მსგავსი საკითხების (წინადადებების) განხილვისას ყურადღება ექცევა შემდეგ გარემოებებს: არსებული (ფაქტობრივი) მდგომარეობა (მიწის ნაკვეთის მართლზომიერი ფლობის პერიოდი), სამართლებრივი საფუძველი, ცვლილების მიზანშეწონილობა, მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავები და ტერიტორიის შემდგომი განვითარების პერსპექტივა.

ქალბატონმა თ. ყოლბაიამ დამატებით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური წინადადებას შეისწავლის (ამზადებს) და რეკომენდაციას უწევს მხოლოდ ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანშეწონილობის კუთხით, ხოლო მიწის ნაკვეთის ლეგალიზების საკითხზე მსჯელობა სამსახურის კომპეტენციას სცილდება.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ სხვა შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „ვ“ პუნქტი) - ქალაქ თბილისში, დასახლება საბარგო, შესახვევი XII, №18-ში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.17.08.035.022; ცვლილების ფართობი: 55 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ზოგადი საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილების შესახებ (№01191121316-67).

მომხსენებლის (თ. ყოლბაია) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №01191121316-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, დასახლება საბარგო, შესახვევი XII, №18-ში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.17.08.035.022; ცვლილების ფართობი: 55 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ზოგადი საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს. რეალურად სატრანსპორტო ზონა გადასულია (შეჭრილია) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის №01191472799 წერილით დასტურდება, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილებით არ იზღუდება არსებული საფეხმავლო ბილიკი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფუნქციური ზონის ცვლილებით გასწორდება არსებული ხარვეზი და შესაბამისობაში მოვა არსებულ (ფაქტობრივ) მდგომარეობასთან.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „4“ პუნქტი) - ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი 3, IV მიკრო/რაიონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.30.012.001) სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილების შესახებ (№01191302223-67).

მომხსენებლის (თ. ყოლბაია) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №01191302223-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი 3, IV მიკრო/რაიონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.30.012.001) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილება. საპროექტო ტერიტორიაზე მწვანე ნარგავები არ ფიქსირდება და იგი უშუალოდ ემიჯნება ვაზისუბნის სასაფლაოს, რომლის გაფართოების მიზნითაც იგეგმება საპროექტო ტერიტორიის განვითარება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 24 მაისის №01191443837 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა აღნიშნულ ტერიტორიაზე განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება. ასევე, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, 300 მ. რადიუსით არ არსებობს დასახლებული რაიონი.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „5“ პუნქტი) - ქალაქ თბილისში, სამურზაყანოს ქუჩა №33-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.03.010.002; ცვლილების ფართობი: 1732 კვ.მ.) მიმდებარედ სპეციალური ზონა 2-ისა (სპეცზ-2) და სატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილების შესახებ (№01191353672-67).

მომხსენებლის (თ. ყოლბაია) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №01191353672-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, სამურზაყანოს ქუჩა №33-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.03.010.002; ცვლილების ფართობი: 1732 კვ.მ.) მიმდებარედ მოთხოვნილია სპეციალური ზონა 2-ისა (სპეცზ-2) და სატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. აღნიშნული ფუნქციური ზონის ცვლილებით, არსებული საავტომობილო გზა აისახება გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში, რომელიც შეთანხმებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან და ქალაქ თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან. ზემოაღნიშნულიდან

გამომდინარე, ფუნქციური ზონის ცვლილებით გასწორდება არსებული ხარვეზი და შესაბამისობაში მოვა არსებულ (ფაქტობრივ) მდგომარეობასთან.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „ნ“ პუნქტი) - ქალაქ თბილისში, ბარნოვის ჩიხი I, №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.15.02.038.065; ცვლილების ფართობი: 269 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილების შესახებ (№01181062372-67).

მომხსენებლის (თ. ყოლბაია) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №01181062372-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, ბარნოვის ჩიხი I, №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.15.02.038.065; ცვლილების ფართობი: 269 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ისტორიული განაშენიანების სახელმწიფო დაცვის ზონაში. გამომდინარე იქიდან, რომ საკადასტრო საზღვრებში გავრცელებული სატრანსპორტო ზონა არ შეესაბამება არსებულ მდგომარეობას, №01.15.02.038.065 საკადასტრო მიწის ნაკვეთის ნაწილზე (ფართობი: 269 კვ.მ.), მხოლოდ საკადასტრო საზღვრებში გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება უნდა აისახოს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 12 ივნისის №12-031916324-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №01191361184-67; №17-01191481916-67; №01191121316-67; №01191302223-67; №01191353672-67; №01181062372-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

დადებითად შეფასდეს მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 12 ივნისის №12-031916324-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №01191361184-67; №17-01191481916-67; №01191121316-67; №01191302223-67; №01191353672-67; №01181062372-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 12 ივნისის №11-031916327-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა თ. ყოლბაიამ.

მომხსენებლის (თ. ყოლბაია) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 5 ივნისის №19.620.826 განკარგულებით და დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 10 წინადადება - №01182412519-67; №01182062880-67; №01182262359-67; №01181232195-67; №011814014-67; №01182142685-67; №011812525-67; №10/01181903928-67; №19/01182851503-67; №01181131746-67).

კომისიის სხდომის დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული 10 საკითხი (წინადადება) პუნქტობრივად იქნა განხილული.

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „1“ პუნქტი) - ქალაქ თბილისში, სანერგის ქუჩა №6ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.12.13.012.065, ცვლილების ფართობი: 5,2 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილების შესახებ (№01182412519-67).

მომხსენებლის (თ. ყოლბაია) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №01182412519-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, სანერგის ქუჩა №6ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.12.13.012.065, ცვლილების ფართობი: 5,2 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს. რეალურად, სატრანსპორტო ზონა გადასულია (შეჭრილია) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე, შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით გასწორდება არსებული ხარვეზი და შესაბამისობაში მოვა არსებულ (ფაქტობრივ) მდგომარეობასთან.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „2“ პუნქტი) - ქალაქ თბილისში, იმერეთის ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.13.012.018) ნაწილზე (ცვლილების ფართობი: 25 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილების შესახებ (№01182062880-67).

მომხსენებლის (თ. ყოლბაია) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №01182062880-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, იმერეთის ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.13.012.018) ნაწილზე (ცვლილების ფართობი: 25 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს. რეალურად, სატრანსპორტო ზონა გადასულია (შეჭრილია) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე, შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით გასწორდება არსებული ხარვეზი და შესაბამისობაში მოვა არსებულ (ფაქტობრივ) მდგომარეობასთან. ასევე, ვინაიდან, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ), მიზანშეწონილია, ქალაქ თბილისში, იმერეთის ქუჩა №1-ში

მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.13.012.018) ნაწილზე (ფართობი: 25 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) შეიცვალოს ზოგადი საცხოვრებელი ზონით (სზ).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „3“ პუნქტი) - ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ნაკვეთი №48, „თელების მიწა“ (საკადასტრო კოდი: №72.16.15.053, ცვლილების ფართობი: 752 კვ.მ.) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილების შესახებ (№01182262359-67).

მომხსენებლის (თ. ყოლბაია) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №01182262359-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ნაკვეთი №48, „თელების მიწა“ (საკადასტრო კოდი: №72.16.15.053, ცვლილების ფართობი: 752 კვ.მ.) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე „ქ. თბილისში, სოფელ თხინვალაში, „თელების მიწა“-ზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.15.760) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 10 ივლისის №157 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „4“ პუნქტი) - ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ნაკვეთი №49, „თელების მიწა“ (საკადასტრო კოდი: №72.16.23.963, ცვლილების ფართობი: 1-39კვ.მ.) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილების შესახებ (№01181232195-67).

მომხსენებლის (თ. ყოლბაია) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №01181232195-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ნაკვეთი №49, „თელების მიწა“ (საკადასტრო კოდი: №72.16.23.963, ცვლილების ფართობი: 1-39კვ.მ.) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე „ქ. თბილისში, სოფელ თხინვალაში, „თელების მიწა“-ზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.15.758) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 30 მარტის №59 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „5“ პუნქტი) - ქალაქ თბილისში, ანდრონიკაშვილის ქუჩა №143 (საკადასტრო კოდი: №01.11.01.006.025; ნაკვეთი №6/25) და ქალაქ თბილისში ანდრონიკაშვილის ქუჩა №143 (ნაკვეთი №6/26)/ქალაქ თბილისში, ანდრონიკაშვილის ქუჩა №143 (ნაკვეთი №6/23)/ქალაქ თბილისში, ბარისახოს ქუჩასა და გარშემოსავლელ გზას შორის (საკადასტრო კოდი: №01.10.01.006.091) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ცვლილების ფართობი: 548 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილების შესახებ (№011814014-67).

მომხსენებლის (თ. ყოლბაია) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №011814014-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, ანდრონიკაშვილის ქუჩა №143 (საკადასტრო კოდი: №01.11.01.006.025; ნაკვეთი №6/25) და ქალაქ თბილისში ანდრონიკაშვილის ქუჩა №143 (ნაკვეთი №6/26)/ქალაქ თბილისში, ანდრონიკაშვილის ქუჩა №143 (ნაკვეთი №6/23)/ქალაქ თბილისში, ბარისახოს ქუჩასა და გარშემოსავლელ გზას შორის (საკადასტრო კოდი: №01.10.01.006.091) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ცვლილების ფართობი: 548 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება. არსებული მდგომარეობით, განმცხადებლის დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთები განვითარებულია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) შესაბამისად და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს. რეალურად, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე საავტომობილო მიმოსვლა ხდება სამხრეთის მხრიდან, რასაც ადასტურებს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული „სერვიტუტი“.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „6“ პუნქტი) - ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, როსტევეანის ქ. №61/ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.065.022; ცვლილების ფართობი: 15 252

კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ცვლილების შესახებ (№01182142685-67).

მომხსენებლის (თ. ყოლბაია) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №01182142685-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, როსტევანის ქ. №61/ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.065.022; ცვლილების ფართობი: 15 252 კვ.მ.) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე „ქ. თბილისში, სოფელ დიღომში როსტევანის ქ.№61/ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №6-ში (საკადასტრო კოდი: №01.72.14.065.022) სასამართლოს და მისი დამხმარე დანიშნულების ობიექტების (საგენერატორო და არსებული სატრანსფორმატორო ჯიხური) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №212 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „ზ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „7“ პუნქტი) - ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის I ჩიხი №3; თევდორე მღვდლის ქუჩა №17-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.13.07.021.017; 01.13.07.021.026; 01.13.07.021.019; 01.13.07.021.015; 01.13.07.021.014; 01.13.07.021.044; 01.13.07.021.030; ცვლილების ფართობი: 4669 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ცვლილების შესახებ (№011812525-67).

მომხსენებლის (თ. ყოლბაია) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №011812525-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის I ჩიხი №3; თევდორე მღვდლის ქუჩა №17-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.13.07.021.017; 01.13.07.021.026; 01.13.07.021.019; 01.13.07.021.015; 01.13.07.021.014; 01.13.07.021.044; 01.13.07.021.030; ცვლილების ფართობი: 4669 კვ.მ.) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე „ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, თევდორე მღვდლის I შესახვევი, თევდორე მღვდლის ქუჩასა და ფიფიების ქუჩას შორის არსებულ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №398 განკარგულება ადგენს

საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „თ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „8“ პუნქტი) - ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცის ქუჩა №175-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.14.002.154, ცვლილების ფართობი: 1859 კვ.მ.), სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილების შესახებ (№10/01181903928-67).

მომხსენებლის (თ. ყოლბაია) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №10/01181903928-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცის ქუჩა №175-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.14.002.154, ცვლილების ფართობი: 1859 კვ.მ.), საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სარეკომენდაციო წერილის საფუძველზე შპს „პრემიუმ რეზიდენსი“-ს მიერ მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება ტექდათვალიერების ცენტრის მშენებლობის მიზნით. ბოგდან ხმელნიცის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ტრამვაის გაჩერების ყოფილ მოედანს, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით არის უფუნქციო და ავტომობილებით დაკავებული, შესაბამისად, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „ი“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „9“ პუნქტი) - ქალაქ თბილისში, ნავთლულის №31-ის მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.13.052.044) მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (ცვლილების ფართობი: 2 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების შესახებ (№19/01182851503-67).

მომხსენებლის (თ. ყოლბაია) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №19/01182851503-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, ნავთლულის №31-ის მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.13.052.044) მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (ცვლილების ფართობი: 2 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2)

ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს. რეალურად, სატრანსპორტო ზონა გადასულია (შეჭრილია) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით, გასწორდება არსებული ხარვეზი და შესაბამისობაში მოვა არსებულ (ფაქტობრივ) მდგომარეობასთან.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „კ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „10“ პუნქტი) - ქალაქ თბილისში, ვარკეთილის ზემო პლატოზე, №3 კორპუსის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.006.005) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (ცვლილების ფართობი: 74 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) შესაბამისი ფუნქციური ზონით (საცხოვრებელი ზონა 6) ცვლილების შესახებ (№01181131746-67).

მომხსენებლის (თ. ყოლბაია) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №01181131746-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის ზემო პლატოზე, №3 კორპუსის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.006.005) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (ცვლილების ფართობი: 74 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება ლეგალიზებისთვის შესაბამისი ფუნქციური ზონით (საცხოვრებელი ზონა 6). ვინაიდან, ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის მიხედვით, მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს, ასევე საპროექტო ტერიტორიაზე და მიმდებარედ, თავის დროზე დაპროექტებული და განთავსებული (აშენებული) ავტოფარეხების გათვალისწინებით, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 12 ივნისის №11-031916327-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 10 წინადადება - №01182412519-67; №01182062880-67; №01182262359-67; №01181232195-67; №011814014-67; №01182142685-67; №011812525-67; №10/01181903928-67; №19/01182851503-67; №01181131746-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტის:

დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 12 ივნისის №11-031916327-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 10 წინადადება - №01182412519-67; №01182062880-67; №01182262359-67; №01181232195-67; №011814014-67; №01182142685-67; №011812525-67; №10/01181903928-67; №19/01182851503-67; №01181131746-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:



ერეკლე კუხიანიძე